სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა / Cultural Heritage and Modernity

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს:

1. ძველი ხელოვნება;
2. ახალი და თანამედროვე ხელოვნება;
3. მუზეუმმცოდნეობა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი
MA in Art History and Theory, MA in Museology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ზაზა სხირტლაძე

მოდულების ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა (ძველი ხელოვნება); ასოცირებული პროფესორი (კონტრაქტით) გიორგი ხოშტარია (ახალი და თანამედროვე ხელოვნება); ასოცირებული პროფესორი ირინა კოშორიძე (მუზეუმები და გალერეები: მართვის თანამედროვე მეთოდები).

პროგრამის ანალოგები
I მოდული

- George Washington University, Department of Arts and Art History , 801 22nd Street NW , RoomA-101Washington,DC20052, Washington, DC 20052, Phone: 202-994-6085, Fax: 202-994-8657, http://www.gwu.edu/art/
- University of Cambridge, The Department of History of Art, 1-5 Scroope Terrace, Cambridge CB2 1PX, Tel: 01223 332975, Fax: 01223 332976, www.hoart.cam.ac.uk
- University of York, History of Art Department, Heslington, York YO10 5DD, Tel: (01904) 432978, Fax: (01904) 433427, www.york.ac.uk

II მოდული

- Ludwig-Maximilians-Universität München Kunstgeschichte Georgenstr. 7 D-80799, München Tel: +49 (0) 89 / 2180 – 2465 Fax: +49 (0) 89 / 2180 – 5316, http://www.fak09.uni-muenchen.de/Kunstgeschichte/
- University of Cambridge, The Department of History of Art, 1-5 Scroope Terrace, Cambridge CB2 1PX. Tel: 01223 332975 Fax: 01223 332976.

III მოდული

- პროგრამა ძირითადად დაიგეგმა და აიგო ნიუ იორკის უნივერსიტეტის მუზეუმმცოდნეობის (Museum Study) პროგრამის მიხედვით http://www.nyu.edu/fas/program/museumstudies/

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა ძველი ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების, მუზეუმმცოდნეობსა

და არტ მენეჯმენტის სპეციალობით; ჩამოაყალიბოს ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტად.

საქართველო ევროპასთან ინტეგრაციის გზით ვითარდება, რაც ხელოვნებათმცოდნეობითი, მუზეუმმცოდნეობითი და არტ მენეჯმენტის სპეციალიზაციის გაფართოვების წინაპირობას ქმნის. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ამგვარი მიდგომა მაქსიმალურად არის გათვალისწინებული.

სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ განავითარონ კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოემზადონ სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობისათვის.
სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდული ითვალისწინებს როგორც ვიწრო სპეციალიზებული, ისე საერთო საგნების სწავლებას. ამასთანავე, დამატებით გათვალისწინებულია საგნები ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან რაც პროგრამას „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ ინტერდისციპლინარულ ხასიათს ანიჭებს.

დღევანდელ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც თავისთავად განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის პირველი მოდულის აქტუალობას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესატყვისობას. მოდულის კონცეპცია და საგნების შერჩევის პრინციპი უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის მიღებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოდული აერთიანებს ძველი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ამასთანავე მასში გათვალისწინებულია როგორც ვიწრო სპეციალიზირებული, ისე ზოგადკულტუროლოგიური საგნები.

თანამედროვე სახვითი და ვიზუალური ხელოვნების შესწავლა აუცილებელია ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციისათვის თანამედროვე დასავლეთის სამეცნიერო და სახელოვნებო სივრცეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. შესაბამისად, პროგრამის მეორე მოდული სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს ახალ და თანამედროვე ხელოვნებაში. პროგრამა მოიცავს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა დარგებსა და მიმართულებებს XIX საუკუნიდან XXI საუკუნის აქტუალური ხელოვნების ჩათვლით.

პროგრამის მესამე მოდული ითვალისწინებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეისწავლიან სამუზეუმო ფასეულობებსა და მოდელებს და, შესაბამისად, შეძლებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმში მუშაობას. ეს მოდული ინოვაციური ხასიათისაა და მოიცავს სამუზეუმო მოღვაწეობის ყველა ასპექტს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს. მოდული ინტერდისციპლინარულია და აღმოსავლეთმცოდნეობის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის მაგისტრატურის სტუდენტებს სთავაზობს ასევე კონცენტრირებულ (მიზნობრივ) სწავლებას მუზეოლოგიაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. ხელოვნების ფენომენის, მისი განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების ცოდნა.

2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის, მისი დაცვის და ადაპტაციის პრობლემების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება საქართველოს სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში.
3. მუზეუმების სოციალური და კულტურული ასპექტების, სამუზეუმო სტრუქტურების ფუნქციონირების, მუზეუმმცოდნეობის თანამედროვე თეორიებისა ცოდნა.
4. ღრმა ცოდნა სამაგისტრო პროგრამის არჩეული მოდულის შესაბამის საგნებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი.
2. თანამედროვე ეპოქაში მხატვრული შემოქმედების კვლევასა და მართვის პრობლემების წარმოჩენისა და პრიორიტეტულობის მიხედვით მათი რანგირების უნარი.
3. კულტურისა და ხელოვნების დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური, რეალური განხორციელების გზების ძიების უნარი.
4. კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების კვლევასა და მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარი.
5. მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევები, კვლევითი ტექნიკა და ყველა სხვა უნარ-ჩვევა პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.
6. ინტეგრირების, დაგეგმარებისა და პრობლემების გადაწყვეტის, ლოგიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი დისციპლინის ინტერპრეტაციულ მეთოდოლოგიასთან კავშირში.
7. უნარ-ჩვევებს და ცოდნის ისეთ ხარისხი, რომელიც სტუდენტს სპეციალობის შესაბამისი პოზიციის დაკავების ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები:

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების არსში წვდომის უნარი.
2. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში მიღებული უნარის გამოყენება მათი შესწავლისა და მართვის პრობლემების გადასაჭრელად.
3. აუდიტორიის წინაშე საკუთარი დაკვირვებების, მოსაზრებებისა და არგუმენტების წარმოჩენის, ლოგიკური დასაბუთების უნარი.
4. ვიზუალური მასალისა და ტექსტის ღრმა ცოდნა და ანალიზის უნარი.

ტექნოლოგიური უნარები:

1. კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების შესახებ ვიზუალური და ტექსტური ინტერნეტ რესურსების გამოყენება.
2. Power Point-ში პრეზენტაციისა, აქციის მომზადება და განხორციელება.

ლინგვისტური უნარები

1. პროფესიულ დონეზე მშობლიურ ენაზე, ასევე რომელიმე ევროპულ ენაზე, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

3. საკუთარი მოსაზრების საჯარო პრეზენტაციას და არგუმენტირებული დასაბუთების უნარი.

დასაქმების სფეროები

სამუშაო მიმართულებები, სადაც მაგისტრატურის კურსდამთავერებულებს შეუძლიათ მუშაობა:

- სამეცნიერო მუშაობა და კვლევა
- პედაგოგიური მუშაობა
- მენეჯმენტი და ადმინისტრაცია
- კურატორული, შეფასებისა და განვითარების (promo) სამუშაო

ორგანიზაციების სია, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა

- სამეცნიერო მოღვაწეობა უმაღლეს და საშუალო სკოლებში
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
- ეროვნული და სხვა მუზეუმები
- ეროვნული და კერძო გალერეები
- ტურისტული სააგენტოები
- ხელოვნებისა და კულტურის ორგანზიაციები (დამოუკიდებელი და სახელმწიფო)
- კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი
- კულტურული მემკვიდრეობის ფონდები
- აუქციონები და ხელოვნების ნიმუშის შეფასების ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციები (მაგალითად საბაჟოები)
- ტელე-რადიო და ბეჭდვითი მედია

პროფესიული პოზიციები, რომელიც კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ:

- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი
- გამოფენების ოფიცერი
- ხელოვნების ნიმუშების შემფასებელი
- მუზეუმების და გალერეების კურატორი
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხებისა და სამუზეუმო საქმიანობის კოორდინატორი
- მუზეუმების ან ხელოვნების სხვა ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი
- არტ გალერეის დირექტორი
- არტ ადმინისტრატორი
- სახელმწიფო მოხელე
- სამეცნიერო პარტნიორი არქეოლოგიურ კვლევებში
- ტელევიზიის პროდიუსერი
- დამოუკიდებელი პროექტების პროდიუსერი და მენეჯერი
- გამომცემლობის თანამშრომელი

მუზეუმში:

- კოლექციების მენეჯერი
- განათლების ოფიცერი

- მუზეუმების ოფიცერი
- მკვლევარი
- ექსკურსიამძღოლი
- ფონდების მოზიდვისა და მარკეტინგის მენეჯერი
- საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- ჰუმანიტარული სფეროს ბაკალავრის ხარისხი გამოცდა ხელოვნების ისტორიაში (წერითი)
  შეფასება – ასბალიანი სისტემით
- სავალდებულოა ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური) ცოდნა B1 დონეზე.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულება. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

- საკვლევი თემის პრობლემატიკის სიახლე და მიზანმიმართული წარმოჩენა
- ინდივიდუალური ხედვის უნარი
- სამეცნიერო პრობლემების არგუმენტირებული დასაბუთება
- ნაშრომის ლოგიკური და მკაფიო სტრუქტურა
- საკვლევი თემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ცოდნის წარმოჩენა
- თემიდან გამომდინარე ინტერდისციპლინარული კვლევის უნარი
- ვიზუალური მასალის წარმოდგენა
- სამაგისტრო ნაშრომის სათანადო საჯარო პრეზენტაცია

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ბაზაზე.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტს გააჩნია:

- კაბინეტი (ფართი 26 მ^2);
- კაბინეტთან არსებული ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკა (ფართი 37 მ^2);
- აუდიტორია (ფართი 35 მ^2).

ტექნიკური აღჭურვილობა:

- ორი კომპიუტერი (აქედან ერთი ჩართულია ინტერნეტში) და ორი სკანერი; ტელევიზორი; ვიდეო მაგნიტოფონი; დიგიტალური კამერა; სამი სლაიდოსკოპი; საილუსტრაციო მასალის საჩვენებელი აპარატი (overhead); ორი ეკრანი.

- სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ლიტერატურის და სხვა მასალის მოპოვებას მაგისტრი შეძლებს ვ. ჯობაძის სახ. ბიბლიოთეკაში, სადაც დღეისათვის დაცულია 5000 ერთეული. ბიბლიოთეკის შევსება სისტემატურად მიმდინარეობს.
- მიმართულებას გააჩნია კერძო კოლექციები: ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნის ნ. რომანოვის (3000 ერთეული); ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვნებათმცოდნის ვ. ჯობაძის ბიბლიოთეკის კოლექციის ნაწილი (წიგნების გადმოგზავნა გრძელდება).
- ბიბლიოთეკაში დაცულია სლაიდები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან); ვ. ჯობაძის მიერ გამოგზავნილი უნიკალური სლაიდების ნაწილი (სლაიდების გადმოგზავნა გრძელდება).
- მაგისტრანტს ასევე შეუძლია ისარგებლოს ლიტერატურით, ვიზუალური და სხვა მასალებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებსა და ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ინტერნეტის საშუალებით (ვებ-გვერდების მისამართები მითითებულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში).

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა	სავალდებულო	5
2.	სამუზეუმო საქმე: ისტორია და თეორია	სავალდებულო	5
3.	ხელოვნების ფილოსოფია	სავალდებულო	5
	I მოდულის სავალდებულო საგნები		
4.	საქართველო და ქრისტიანული სამყარო: ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიის საკითხები	სავალდებულო	10
6.	ქართული მინიატურა: ხელნაერი წიგნის გაფორმების ტრადიცია ასწლეულების მანძილზე	სავალდებულო	5
7.	რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქართველოში	სავალდებულო	10
8.	ფერწერული სკოლები შუა საუკუნეების საქართველოში	სავალედბულო	10
9.	ვიზუალური ფოლკლორი: ხალხური ხელოვნება, როგორც კულტურული მემკვიდრეობა	სავალდებულო	5

	II მოდულის სავალდებულო საგნები		
	XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება თანადროულ ევროპულ ხელოვნებასთან მიმართებით	სავალდებულო	5
	თანამედროვე სახვითი ხელოვნების სტრუქტურული ანალიზი	სავალდებულო	5
	XX საუკუნის სცენოგრაფია: ეტაპები და ტენდენციები	სავალდებულო	5
	XX საუკუნის კინო – ეკრანული კულტურა ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში	სავალდებულო	5
	საკურატორო საქმე	სავალდებულო	5
	თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება	სავალდებულო	5
	XIX-XX მსოფლიო ხელოვნების განვითარების ტენდენციები	სავალდებულო	5
III მოდულის სავალდებულო საგნები			
	კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში	სავალდებულო	5
	კოლექციების მოვლა, პრევენციული კონსერვაცია	სავალდებულო	5
	არტ მენეჯმენტი თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	5
	სამუზეუმო პრაქტიკა	სავალდებულო	5
I მოდულის არჩევითი საგნები			
	საკრალური სივრცის პრობლემა წინაქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში	არჩევითი	5
	აღმოსავლეთი-დასაავლეთი: მხატვრული სახის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში	არჩევითი	5
	წარმართობა და ქრისტიანობა გვიანანტიკურობაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა გვიანანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში]	არჩევითი	5
	ბიზანტიური ცივილიზაცია: ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები [ის. სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო ისტორიაში]	არჩევითი	10
	კულტურები და რელიგიები კავკასიაში [იხ. სამაგისტრო პროგრამა კულტურის მეცნიერებაში]	არჩევითი	10
	10 კრედიტის მომცველი საგანი/საგნები II ან III მოდულიდან	არჩევითი	10

II მოდულის არჩევითი საგნები			
	საქართველოს ქალაქების არქიტექტურა	არჩევითი	5
	ამერიკის თანამედროვე არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება	არჩევითი	5
	თანამედროვე ქართული მონუმენტური ქანდაკება	არჩევითი	5
	ფიროსმანის მხატვრული სამყარო	არჩევითი	5
	თანამედროვე ფილოსოფიური სკოლები და მიმდინარეობები [იხ. სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში]	არჩევითი	5
	ესთეტიკა [იხ. სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში]	არცევითი	5
	10 კრედიტის მომცველი საგანი/საგნები II ან III მოდულიდან	არჩევითი	10
III მოდულის არჩევითი საგნები			
	სამუზეუმო კოლექციების მართვა	არჩევითი	5
	საგანმანათლებლო პროგრამები მუზეუმებში	არჩევითი	5
	დროებითი გამოფენების მოწყობა	არჩევითი	5
	საქართველოს მუზეუმების კოლექციები	არჩევითი	5
	კულტურული დაწესებულების მარკეტინგი	არჩევითი	5
	თანამედროვე ფილოსოფიური სკოლები და მიმდინარეობები [იხ. სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში]	არჩევითი	5
	ესთეტიკა [იხ. სამაგისტრო პროგრამა ფილოსოფიაში]	არცევითი	5
	10 კრედიტის მომცველი საგანი/საგნები I ან II მოდულიდან	არჩევითი	10
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ხელოვნების ისტორიაში (წერითი). შეფასება - ასბალიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთში შედის ოთხი საკითხი; თითოეულის მაქსიმალური შეფასება – 25 ქულა. საგამოცდო ბილეთში შესული თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები:
ა) საკითხის ცოდნა – 5
ბ) ინფორმაციის სისრულე – 5
გ) ანალიზის უნარი – 5
დ) ლოგიკური მსჯელობის უნარი – 5
ე) სტილი და მართლწერა – 5

საგამოცდო საკითხები

1. სამნავიანი ბაზილიკები ადრეული შუა საუკუნების საქართველოში (ბოლნისის სიონი).
   - Г. Чубинашвили. Болниси, ენიმკის მოამბე, 1X, თბილისი, 1940.
2. მცხეთის ჯვარი და მისი ტიპის ტაძრები.
   - Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948.
3. წრომი ტაძარი და მისი მოზაიკა.
   - Г. Чубинашвили, Цроми, Москва, 1969.
   - Я. Смирнов, Цромская мозайка, Тбилиси, 1935.
   - Z. Skhirtladze, A Propos du Décor absidal de C'romi, Revue des études géorginnes et caucasiennes, N6-7 (1990-1991), პ. 163-183.
4. "გარდამავალი ხანის" ქართული ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა (გურჯაანის "ყველაწმინდა", საბერეები).
   - Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, Тбилиси, 1956.
   - ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
   - Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тбилиси, 1983.
   - А. Вольская, Росписи пещерных монастырей Давид гареджи, კრებულში: გარეჯი, თბილისი, 1988.
5. ადრეული ხანის ქართული ჭედური ხატები და მოხატული ხელნაწერები (ზარზმის ფერისცვალების ხატი, ადიშის ოთხთავი).
   - Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959\
   - Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, Москва, 1966.
   - Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв., т. I и II, Тбилиси, 1967 и 1976.
6. X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (ოშკი, სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, სამთავისი).
   - ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
   - В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981.
   - ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, თბილისი, 1991.
   - გ. სოხაშვილი, სამთავისი, თბილისი, 1971.
   - პ. ზაქარაია, XI-XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. I, თბილისი, 1975.
7. X-XI საუკუნების ოქრომჭედლობა (იშხნის ჯვარი, ბედიის ბარძიმი, ლაკლაკიძის ხატი).
   - Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959\

8. XI საუკუნის ქართული კედლის მხატვრობა (ზემო კრიხი, ატენის სიონი).

- Т. Вирсаладзе, Роспись церкви Архангелов села Земо Крихи, ქართული ხელოვნება, 6, 1963, ც. 107-166.

9. XII-XIII საუკუნეების გუმბათიანი ტაძრები (გელათი, ბეთანია, ქვათახევი).

- Р. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, Тбилиси, 1966.
- პ. ზაქარაია, XI-XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. II, თბილისი, 1978.

10. მეფის მხატვარ თევდორეს ფრესკები ზემო სვანეთში.

- Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети, Тб., 1983.

11. XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართული კედლის მხატვრობა (ვარძია, ყინცვისი, ბეთანია, ბერთუბანი,).

- Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб. 1948
- Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзия, Тб. 1976

12. XII-XIII სს. ოქრომჭედლობა (ბექა და ბეშქენ ოპიზარები).

- შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბილისი, 1956.
- Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959
- თ. საყვარელიძე, ანჩის კარედი ხატი, საბჭოთა ხელოვნება, 1976, #5, გვ. 77-91.

13. XIII-XIV საუკუნეების ხუროთმოძღვრება (საფარა, ზარზმა).

- ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI სს., თბილისი, 1955.
- ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.

14. XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ქართული კედლის მხატვრობა. მისი მიმართება

- პალეოლოგოსთა ხანის ბიზანტიურ მხატვრულ ტრადიციასთან (უბისი, წალენჯიხა, ნაბახტევი).

15. XVI-XVIII სს. ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა (ანანური, გრემი, ახალი შუამთა)

- გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000
- ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.

16. ”ტფილისური პორტრეტული სკოლის მხატვრობა”

- მ. ციციშვილი, XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა. თბილისი., 1997.
- Т. Вирсаладзе, Изовразительное Искусство, История Искуссгва Народов СССР, том 5, Москва., 1979.

17. ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლის გიორგი გაბაშვილის შემოქმედება

- გიგო გაბაშვილი. ალბომი. ”ხელოვნება”, თბ., 1986.
- В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975.

18. ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება

- გ. ხოშტარია, ნიკო ფიროსმანაშვილის ნატიურმორტები, ”საბჭოთა ხელოვნება”, 1978, #10.
- ვ. ბერიძე, ნიკო ფიროსმანაშვილი, თბ., 2007
- Е. Кузнецов, Нико Пиросмани. Л., 1983

19. დავით კაკაბაძე

- ლ. რჩეულიშვილი, დავით კაკაბაძე. თბილისი., 1983
- ქ. კინწურაშვილი, დავით კაკაბაძის კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიციები და სკულპტურა ”ძ”, “ლიტერატურა და ხელოვნება”, 1993, #1.

20. ლადო გუდიაშვილის ფერწერა და გრაფიკა
    - ვ. ბერიძე, გუდიაშვილი. ხელოვნება_თბილისი. კორვინა_ბუდაპეშტი, 1975
    - “ქართული მოდერნიზმი 1910-1930”, თბილისი, 2005.
21. ელენე ახვლედიანის ფერწერული და გრაფიკული პეიზაჟები
    - ე. პრივალოვა. ელენე ახვლედიანი. საქართველოს საინფორმაციო სააგენტო. თბ., 1980
    - მ. კარბელაშვილი, ელენე ახვლედიანი, თბილისი, 1980.
22. პირველი ქართველი მოქანდაკე - იაკობ ნიკოლაძე
    - ნიკოლაძე. მოქანდაკის მოგონება. თბ., “საბჭოთა საქართველო”, 1964
    - В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975
23. ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედება
    - ქ. მაღალაშვილის პერსონალური გამოფენის კატალოგი. თ. ვირსალაძის შესავალი წერილი. თბ., 1972
    - В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975
24. პეტრე ოცხელის შემოქმედება
    - ირაკლი ჯანდიერი, თეიმურაზ ჯაფარიძე. პეტრე ოცხელი 1907-1937, გამოფენის კატალოგი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 1998.
    - ქართული მოდერნიზმი 1910_1930, სტატიათა კრებული, «სეზანი», თბ., 2005.
    - პეტრე ოცხელი 1907 _ 1937, სტატიათა კრებული, “სეზანი”, თბ., 2007
25. ირაკლი გამრეკელის შემოქმედება
    - ც. კუხიანიძე, ირაკლი გამრეკელი, “ხელოვნება”. თბ., 1981.
    - ირ. გამრეკელი, კრებული, “ხელოვნება”. თბ., 1958.
26. შალვა ქიქოძის შემოქმედება
    - ირინე აბესაძე, შალვა ქიქოძე, თბ., 1990
    - ქართული მოდერნიზმი 1910_1930, სტატიათა კრებული, «სეზანი», თბ., 2005
27. ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედება
    - В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии 1921-1970. М., 1975
    - ქართული მოდერნიზმი 1910-1930, სტატიათა კრებული, «სეზანი», თბ., 2005
28. დიმიტრი შევარდნაძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა
    - აბესაძე ი., ბაგრატიშვილი ქ., დიმიტრი შევარდნაძე, “საქართველო”, 1998
    - ლორთქიფანიძე ი., ხელოვანი და მოქალაქე, “მნათობი”, 1985, #12
    - ქართული მოდერნიზმი 1910-1930, სტატიათა კრებული, «სეზანი», თბ.,2005

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის კოორდინატორს სრულ პროფესორ ზაზა სხირტლაძეს.